განმარტებითი ბარათი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის

შესრულების შესახებ

2021 წლის შემოსულობების დამტკიცებული წლიური გეგმა 01 ოქტომბრის მდგომარეობით არის 27 357,5 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის გეგმა შეადგენს 23 749,0 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა 9 თვის მდგომარეობით შეადგინა 19 474,2 ათასი ლარი, რაც შედაგენს წლიური გეგმის 71%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს. არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა შეადგენს 2 240,0 ათას ლარს, ხოლო 9 თვის გეგმა არის 1 292,9 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 1 047,3 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 47%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს.

გადასახადების წლიური გეგმა არის 15 480,2 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა შეადგენს 14 437,2 ათას ლარს, მიმდინარე პერიოდის შესრულებამ შეადგინა 12 560,4 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 81% და 9 თვის გეგმის 87%, მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადის წლიური გეგმა არის 12 580,2 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის გეგმა შეადგენს 10 271,4 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 8 628,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 69% და 9 თვის გეგმის 84%-ია. შემოსავლები ქონების გადასახადიდან წლიურად დაგეგმილია 2 900,0 ათასი ლარის ოდენობით, შესრულება 3 932,3 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 135 %-ია. საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური გეგმა არის 2 525,0 ათასი ლარი, შესრულება 3 943,3 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 156%-ია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური გეგმა არის 47,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 21,4 ათას ლარს შეადგენს, 9 თვის შესრულება 17,1 ათასი ლარია, რაც შეადგენს წლიური გეგმის 36%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური გეგმა არის 305,0 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება 26,3 ათასი ლარია, რაც შეადგენს წლიური გეგმის 9%-ს.

გრანტების სახეობაში წლიური გეგმა 7 535,8 ათასი ლარია, 9 თვის გეგმა კი 5 107,5 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 4 086,0 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 54%-ით, 9 თვის გეგმა კი 80%-ით, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერის გეგმა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად წლიურად გათვალისწინებულია 270,0 ათასი ლარის ოდენობით, 9 თვის გეგმა კი 238,2 ათასი ლარია, შესრულება შეადგენს 202,5 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 75% და 9 თვის გეგმის 85%-ია, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური გეგმა არის 7 240,9 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 4 789,9 ათასი ლარი, შესრულება 3 879,8 ათასი ლარია, წლიური გეგმა შესრულდა 54%-ით, ხოლო 9 თვის გეგმა შესრულდა 81%-ით.

სხვა შემოსავლებში წლიური გეგმა არის 2 101,5 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 1 978,4 ათასი ლარია, შესრულება შეადგენს 1 780,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 85%-ს და 9 თვის გეგმის 90%-ს შეადგენს. აქედან, შემოსავლები საკუთრებიდან წლიურად დაგეგმილია 1 096,5 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 1 119,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 102%-ია, შემოსავალი პროცენტიდან წლიურად დაგეგმილია 260,0 ათასი ლარის ოდენობით, 9 თვის შესრულება 287,8 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 110%-ია.

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან წლიურად იგეგმება 378,0 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის გეგმა შეადგენს 205,7 ათას ლარს, მიმდინარე პერიოდის შესრულებამ შეადგინა 164,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 44% და 9 თვის გეგმის 80%-ია, აქედან სანებართვო მოსაკრებლის წლიური გეგმაა 28,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 27,8 ათასი ლარია, შესრულებამ შეადგინა 27,3 ათასი ლარი, რას შეადგენს წლიური გეგმის 97%-ს და 9 თვის გეგმის 99%-ს. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის წლიურად დაგეგმილია 200,0 ათასი ლარით, 9 თვის

გეგმა 154,3 ათასი ლარია, შესრულებამ შეადგინა 126,5 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 63%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს.

შემოსავალი არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან წლიურად იგეგმება 30,0 ათასი ლარის ოდენობით, 9 თვის გეგმა 13,5 ათასი ლარია, შესრულება მიმდინარე პერიოდში შეადგენს 10,8 ათას ლარს - წლიური გეგმის 36%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს.

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან წლიურად იგეგმება 542,0 ათასი ლარის ოდენობით, 9 თვის გეგმა კი შეადგენს 482,2 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 434,0 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 80%-ს და 9 თვის გეგმის 90%-ს .

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების წლიური გეგმა არის 85,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 75,1 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 63,1 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 74%-ს და 9 თვის გეგმის 84%-ს.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, წლიური გეგმა შეადგენს 30 422,7 ათას ლარს, 9 თვის გეგმა კი 19 437,8 ათასი ლარია, შესრულებამ შეადგინა 15 939,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 52% და 9 თვის გეგმის 82%-ია. მათ შორის:

მუნიციპალიტეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 01 00) დაგეგმილია წლიურად 3 693,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 9 თვის მდგომარეობით 2 847,7 ათასი ლარის ოდენობით, 6 თვის შესრულება შეადგენს 2 363,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 64%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს შეადგენს. მათ შორის:

საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფის (ორგანიზაციული კოდი 01 01) წლიური გეგმა შეადგენს 3 413,4 ათას ლარს, 9 თვის გეგმა კი 2 706,2 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 2 273,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 67%-ს და 9 თვის გეგმის 84%-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ორგანიზაციული კოდი 01 01 01) წლიური ხარჯი შესრულებულია 73%-ით, ხოლო 9 თვის გეგმა 82%-ით, წლიურად გეგმით გათვალისწინებულია 930,4 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 823,9 ათასი ლარია, მიმდინარე პერიოდის შესრულებამ შეადგინა 675,6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის (ორგანიზაციული კოდი 01 01 02) ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებულია 2 387,0 ათასი ლარის ოდენობით, 9 თვის გეგმით კი 1 859,0 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 1 543,0 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 65%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის ღონისძიებებზე (ორგანიზაციული კოდი 01 01 03) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 96,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა შეადგენს 66,5 ათას ლარს. მიმდინარე პერიოდის შესრულებამ შეადგინა 54,6 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 57%-ით, ხოლო 9 თვის გეგმა შესრულდა 82%-ით.

საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 02) წლიურად დაგეგმილია 230,2 ათასი ლარით, მათ შორის :

სარეზერვო ფონდი (ორგანიზაციული კოდი 01 02 01) წლიურად გათვალისწინებულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, 9 თვის მდგომარეობით დარჩენილია 41,7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (ორგანიზაციული კოდი 01 02 03) წლიურად დაგეგმილია 188,5 ათასი ლარით, გახარჯულია 89,9 ათასი ლარი.

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამისთვის (ორგანიზაციული კოდი 01 03) გათვალისწინებულია 50,0 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების (ორგანიზაციული კოდი 02 00) პროგრამისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებულია 14 914,8 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის გეგმით - 7 606,5 ათასი ლარი, სამი კვარტლის შესრულება შეადგენს 6 161,3 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 41% და 9 თვის გეგმის 81%-ია, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების (ორგანიზაციული კოდი 02 01) წლიური გეგმა არის 2 825,8 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 1 588,4 ათასი ლარი. შესრულებამ მიმდინარე პერიოდისთვის შეადგინა 1 286,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 46% და 9 თვის გეგმის 81%-ია, აქედან:

გზების მიმდინარე შეკეთების (ორგანიზაციული კოდი 02 01 01) წლიური გეგმა არის 233,4 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 233,3 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 100%-ია.

ახალი გზების მშენებლობისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 01 02) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 2 585,1 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 1 300,2 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 1 053,2 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 41% და 9 თვის გეგმის 81%-ია.

ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 01 03) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 7,3 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდის შესრულება შეადგენს 0,0 ათას ლარს.

წყლის სისტემების განვითარების (ორგანიზაციული კოდი 02 02) პროგრამისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებულია 2 970,8 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 1 644,9 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 1 315,9 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 44%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს, აქედან:

წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის (ორგანიზაციული კოდი 02 02 03) წლიური გეგმა არის 2 510,8 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის გეგმა 1 216,5 ათასი ლარი, შესრულება 9 თვის მდგომარეობით 973,2 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 39%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირებისათვის (ორგანიზაციული კოდი 02 02 04) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 460,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 408,0 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 342,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 75%-ს და 9 თვის გეგმის 84%-ს შეადგენს.

გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგანიზაციული კოდი 02 03 01) წლიური გეგმა არის 520,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 428,3 ათასი ლარია, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 351,2 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 68%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს.

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 03 02) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 294,7 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 66,7 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 40,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 14%-ს და 9 თვის გეგმის 60%-ს შეადგენს.

საკადასტრო აზომვითი ნახაზების, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (ორგანიზაციული კოდი 02 07 01) წლიური გეგმა არის 367,6 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი 229,7 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 183,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 50%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

შენობების, ფასადების და სახურავების რეაბილიტაციისათვის (ორგანიზაციული კოდი 02 07 02) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 3 018,9 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა შეადგენს 1 490,4 ათას ლარს, 9 თვის შესრულება 1 207,2 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 40%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 81%-ს შეადგენს.

პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის (ორგანიზაციული კოდი 02 07 03) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 3 976,7 ათასი ლარი, 9 თვის გეგმა კი შეადგენს 1 777,7 ათას ლარს, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 1 422,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 36%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 07 04) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 940,2 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 437,5 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 354,4 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 38%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს შეადგენს.

დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამისთვის (ორგანიზაციული კოდი 03 01) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 450,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 214,6 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 171,7 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 38%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფის წლიური დაფინანსება დაგეგმილია 1 596,0 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 317,3 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 1 093,4 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 69%-ს და 9 თვის გეგმის 83 %-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის (ორგანიზაციული კოდი 04 01 01) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 3 020,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 2 352,9 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 1 905,9 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 63%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და ინვენტარით უზრუნველყოფის ხარჯისთვის (ორგანიზაციული კოდი 04 02 01) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 980,3 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 806,3 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 669,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 68%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (ორგანიზაციული კოდი 04 02 02) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 455,6 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 438,7 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 399,2 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 87%-ს და 9 თვის გეგმის 91%-ს შეადგენს.

ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისთვის (ორგანიზაციული კოდი 04 03) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 40,0 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის გეგმით კი 23,0 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის შესრულება შეადგენს 19,5 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 49%-ს და 9 თვის გეგმის 85%-ს შეადგენს.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ღონისძიებების (ორგანიზაციული კოდი 05 00) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 3 425,5 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 2 033,0 ათას ლარს რაც წლიური გეგმის 59%-ია.

მათ შორის:

სპორტული ღონისძიებების (ორგანიზაციული კოდი 05 01 01) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 199,3 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 174,8 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 148,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 75%-ს და 9 თვის გეგმის 85%-ს შეადგენს.

სპორტული ობიექტების აღჭურვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 05 01 02) პროგრამისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებულია 534,4 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 127,4 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 101,9 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 20%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლის (ორგანიზაციული კოდი 05 01 03) დაფინანსება წლიური გეგმით გათვალისწინებულია 332,5 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის გეგმით კი 261,7 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის შესრულება შეადგენს 214,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 65%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბის (ორგანიზაციული კოდი 05 02 04) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 215,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 179,2 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 148,7 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 69%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების (ორგანიზაციული კოდი 05 02 01) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 463,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 372,0 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 305,1 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 66% და 9 თვის გეგმის 82%-ია.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის (ორგანიზაციული კოდი 05 02 02) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 254,0 ათასი ლარით, 9 თვის გეგმით კი 196,1 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 158,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 63%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის (ორგანიზაციული კოდი 05 02 03) დაფინანსება წლიური გეგმით გათვალისწინებულია 87,1 ათასი ლარის ფარგლებში, 9 თვის გეგმით კი 61,1 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 48,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 56%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის ციხის (ორგანიზაციული კოდი 05 02 04) წლიური დაფინანსება განსაზღვრულია 533,0 ათასი ლარით, 9 თვის გეგმა 495,9 ათასი ლარია, 9 თვის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 421,5 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 79% და 9 თვის გეგმის 85%-ია.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსების (ორგანიზაციული კოდი 05 02 07) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 158,6 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის გეგმა 70 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 41,4 ათას ლარს - წლიური გეგმის 26%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 59%-ია.

კულტურის ობიექტების აღჭურვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 05 02 08) პროგრამის წლიური გეგმით გათვალისწინებულია 349,6 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 268,6 ათასი ლარი, 9 თვის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 217,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 62%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს შეადგენს.

კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის (ორგანიზაციული კოდი 05 02 09) პროგრამის წლიური გეგმით გათვალისწინებულია 100,0 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 100,0 ათას ლარს.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის (ორგანიზაციული კოდი 05 03 01) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 74,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 15,6 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 10,9 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 15%-ს და 9 თვის გეგმის 70%-ს შეადგენს.

თეატრების (ორგანიზაციული კოდი 05 04) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 110,0 ლარი, 9 თვის გეგმით კი გათვალისწინებულია 105,0 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 100,6 ათას ლარს - წლიური გეგმის 91%-ს და 9 თვის გეგმის 96%-ს.

ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (ორგანიზაციული კოდი 05 05) წლიური დაფინანსების გეგმით გათვალისწინებულია 15,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 14,8 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის შესრულება შეადგენს 14,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 97%-ს და 9 თვის გეგმის 99%-ს შეადგენს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსების წლიური (ორგანიზაციული კოდი 06 00) გეგმით გათვალისწინებულია 1 847,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 1 351,9 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 1 122,1 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 61%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს შეადგენს, მათ შორის:

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ორგანიზაციული კოდი 06 01 01) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 255,1 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 189,6 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 153,6 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 60%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს შეადგენს.

ამბულატორიების აღჭურვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 06 01 02) პროგრამის დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 97,5 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 6,8 ათას ლარს - წლიური გეგმის 7%-ს.

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების (ორგანიზაციული კოდი 06 02 01) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 3,5 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის გეგმით კი 2,8 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 2,3 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 66%-ს და 9 თვის გეგმის 82 %-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შშმ პირთა სოციალური დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 02) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 205,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 172,3 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის შესრულება შეადგენს 141,3 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 69%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს შეადგენს.

II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 03) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 18,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 12,8 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება 10,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 61%-ს და 9 თვის გეგმის 85%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის (ორგანიზაციული კოდი 06 02 04) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 165,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 129,3 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 106,0 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 64%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს შეადგენს.

ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 05) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 60,4 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 54,6 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 44,2 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 73%-ს და 9 თვის გეგმის 81%-ს შეადგენს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 06) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 199,2 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 154,1 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 132,5 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 67%-ს და 9 თვის გეგმის 86%-ს შეადგენს.

99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 07) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებულია 34,4 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 14,0 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის შესრულება შეადგენს 11,2 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 33%-ს და 9 თვის გეგმის 80%-ს შეადგენს.

ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 08) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 22,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 14,0 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება 11,6 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 53%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის დაფინანსება ყოველ ახალშობილზე (ორგანიზაციული კოდი 06 02 09) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 73,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 65,3 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 56,8 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 78%-ს და 9 თვის გეგმის 87%-ს შეადგენს.

აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსებისთვის (ორგანიზაციული კოდი 06 02 10) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 14,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 7,9 ათასი ლარი, 9 თვის შესრულება შეადგენს 6,5 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 46%-ს და 9 თვის გეგმის 82%-ს შეადგენს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 11) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 656,9 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 477,6 ათასი ლარი, 9 თვის შესრულებამ შეადგინა 420,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 64%-ს და 9 თვის გეგმის 88%-ს შეადგენს.

სახელოვნებო სკოლებში სოციალური შეღავათების მქონე პირთა შვილებისათვის სოციალური დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 12) წლიური გეგმით გათვალისწინებულია 43,0 ათასი ლარი, 9 თვის გეგმით კი 22,1 ათასი ლარი, პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 18,3 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 43%-ს და 9 თვის გეგმის 83%-ს შეადგენს.

პატივისცემით,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი: **გელა ლომიძე**